



პერსონალურ მონაცემთა
დაცვის ინსპექტორის აპარატი

შენიშვნები და რეკომენდაციები

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული რეცეპტის ფორმა შეიცავს პირის შესახებ პერსონალურ მონაცემებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მასში მითითებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღებაც, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი ბრძანების პროექტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების წესები იყოს მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი კომპეტენციის ფარგლებში წარმოგიდგენთ შემდეგ შენიშვნებს და რეკომენდაციებს:

1. პროექტის №3 დანართის (შემდგომში - „პროექტი“) პირველი მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ ელექტრონული სისტემის მომხმარებელი/მონაწილე მხარეები არიან ექიმი და რეალიზატორი. პროექტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია, რომ ელექტრონული სისტემის მომხმარებლები არიან ექიმი და პაციენტი. ხსენებული ნორმები ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პროექტში მითითებულ ელექტრონულ სისტემაში ექიმის და რეალიზატორის მომხმარებლად მიჩნევა ემსახურება ბრძანების პროექტის ძირითად მიზნებს, თუმცა პაციენტის ელექტრონულ სისტემაში წვდომის საჭიროება შესაფასებელია. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი მოიაზრება სისტემის მომხმარებლად, დეტალურად უნდა

გაიწეროს სისტემაში შემავალი რომელი მონაცემებია მისთვის ხელმისაწვდომი და რა ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია:

- პროექტის პირველი მუხლის მე-4 და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან;
- პაციენტის ელექტრონული სისტემის მომხმარებლად მიჩნევის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს რით არის განპირობებული მისი ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლად ჩართვის აუცილებლობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვროს თუ რომელი მონაცემები იქნება მისთვის ხელმისაწვდომი.

2. პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, ექიმის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება მისი პირადი ნომრით და დაბადების თარიღით. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მონაცემები ხშირად მარტივად ხელმისაწვდომია (მაგ.: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდზე გასაჯაროებული მონაცემების გამოყენებით) ან/და შესაძლებელია თავად ექიმმა გახადოს ხელმისაწვდომი, ჩნდება ელექტრონულ სისტემაში არაუფლებამოსილი პირის ჩართვის საშიშროება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს მიიღოს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროექტის მე-2 მუხლში ექიმის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის წესი საჭიროებს დამატებითი მექანიზმის არსებობას პირის (ექიმის) იდენტიფიცირების მიზნით, რომელიც სისტემაზე არასანქცირებული წვდომის რისკებს მაქსიმალურად შეამცირებს.

3. პროექტის მე-3 მუხლში მითითებულია, რომ ექიმი ქმნის პაციენტისთვის გვერდს, სადაც შეიტანება პაციენტის დანიშნულება, მათ შორის ინფორმაცია ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქტის შესახებ და პაციენტისთვის საჭირო სხვა ინფორმაცია. წარმოდგენილ პროექტში მკაფიოდ არ არის განმარტებული თუ როგორ ხდება პაციენტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია და რა პროცედურებს მოიცავს იგი (რა მონაცემების მითითება ხდება, ხდება თუ არა მათი გადამოწმება სხვა მონაცემთა ბაზებში და ა.შ.), ასევე ე.წ. „გვერდი“ არის თუ არა ელექტრონული სისტემის ნაწილი. ასევე არ იკვეთება ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის პაციენტის გვერდზე მითითების მიზნობრიობა და აუცილებლობა. ასევე, დასაზუსტებელია კონკრეტულად რა იგულისხმება „პაციენტისთვის საჭირო სხვა ინფორმაციაში“. იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლებელია, პაციენტის გვერდში მითითებულ მონაცემთა ერთობლიობა ცალკეულ შემთხვევებში იძლეოდეს პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას, აუცილებელია, რომ სისტემაში

მისათითებელი მონაცემების ჩამონათვალი იყოს კონკრეტული და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პრინციპებთან შესაბამისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია:

- დეტალურად უნდა განისაზღვროს ის მონაცემები, რომლებიც შეიტანება ელექტრონულ სისტემაში, ამასთან, მონაცემთა მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მიზნებს;
- პროექტის მე-3 მუხლში დეტალურად უნდა გაიწეროს პაციენტის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის წესი, ასევე რას გულისხმობს ე.წ. პაციენტის გვერდი, რა ინფორმაციის შემცველია, ვისთვის არის ხელმისაწვდომი და რა მოცულობით;
- უნდა შეფასდეს პროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, პაციენტის გვერდში ურეცეპტოდ გასაცემი დანიშნულების შეყვანის მიზნობრიობა და საჭიროება.

4. პროექტის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნულია, რომ ელექტრონულ სისტემაში გენერირებულ ფორმა №3 რეცეპტს ავტომატურად ენიჭება უნიკალური ნომერი. ამავე პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, რეალიზატორი პაციენტის პირადი ნომრის მითითების შემდგომ ელექტრონულ სისტემაში ხედავს ყველა რეცეპტს და ამავე პუნქტში მითითებულ მონაცემს. ამასთან, ელექტრონულ რეცეპტში მითითებული ფარმაცევტული პროდუქციის მიმღებ სუბიექტად ამავე მუხლის №2 შენიშვნის მიხედვით მოიაზრება პაციენტი ან პირი, რომელიც ფლობს ინფორმაციას ამ პაციენტის პირადი ნომრის თაობაზე. პირველ რიგში, შესაფასებელია რეცეპტისათვის უნიკალური ნომრის მინიჭების შემდგომ რამდენად მიზანშეწონილია რეალიზატორისთვის ელექტრონულ სისტემაში პაციენტის შესახებ არსებული მონაცემის პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოცულობით ხელმისაწვდომობა. რეცეპტი მინიჭებული ნომრის (მისი უნიკალურობიდან გამომდინარე) მეშვეობით იდენტიფიცირდება პაციენტთან, ამდენად, მონაცემების სრულად ხელმისაწვდომობა რეალიზატორისთვის შესაძლოა არ იყოს საჭირო. ამასთანავე, მკაფიოდ უნდა გაიწეროს მხოლოდ აქტიური სტატუსის რეცეპტის ნახვა შესაძლებელი თუ ასევე პასიური რეცეპტებისაც. ასევე, ფარმაცევტული პროდუქციის მიმღებ სუბიექტად ყველა იმ პირის მიჩნევა, ვინც ფლობს პაციენტის პირად ნომერს ქმნის საშიშროებას, რომ პაციენტის ნების გარეშე მოხდება მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება რეალიზატორის ან/და თავად ფარმაცევტული პროდუქციის მიმღები პირისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, პირის პირადი ნომერი ხშირ შემთხვევაში მარტივად ხელმისაწვდომი მონაცემია. ამდენად, მხოლოდ პაციენტის პირადი ნომრის მითითებით ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების რეალიზატორისთვის ხელმისაწვდომობა ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას და უნდა შემუშავდეს მონაცემთა დაცვის დამატებითი მექანიზმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია:

- უნდა შეფასდეს რამდენად აუცილებელია პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მოცულობით მონაცემების მიწოდება რეალიზატორისთვის;
- პროექტის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი, მხოლოდ პირადი ნომრის საფუძველზე რეალიზატორისთვის და ფარმაცევტული პროდუქციის მიმღები მესამე პირისათვის ელექტრონულ სისტემაში ასახული პაციენტის მონაცემების ხელმისაწვდომად გახდომის წესი საჭიროებს დამატებითი პროცედურების არსებობას პირის იდენტიფიცირების მიზნით, რაც სისტემაზე არასანქცირებული წვდომის რისკებს მაქსიმალურად შეამცირებს (მაგ. შესაძლებელია, პირად ნომერთან ერთად მისაწოდებელ მონაცემად განისაზღვროს რეცეპტის უნიკალური კოდი).

5. პროექტის მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად რეცეპტის სტატუსი შესაძლებელია იყოს აქტიური/მოქმედი და არააქტიური (პასიური/გაუქმებული). პროექტში არ არის მითითებული რეცეპტის სტატუსის ცვლილება აისახება თუ არა მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ რეცეპტის სტატუსის შეცვლის შემდგომ უნდა შეფასდეს, რა მიზანს ემსახურება მასში არსებული მონაცემების სისტემაში ასახვა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდგომაც გაუქმებული რეცეპტის მონაცემები წაიშლება ელექტრონული სისტემიდან ან შეინახება პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

6. პროექტის მე-3 მუხლის მე-20 პუნქტის საფუძველზე პაციენტს შეუძლია ე.წ. SMS სერვისის შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია ფორმა №3 რეცეპტის შესახებ. აღნიშნული სერვისით სარგებლობა გარკვეული რისკების შემცველია, კერძოდ, შესაძლებელია სატელეფონო ნომრის მფლობელი შეიცვალოს, ან სხვაგვარად მოხდეს პაციენტის პერსონალური მონაცემების შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინების უცხო პირისთვის გამჟღავნება. არ არის გაწერილი არასწორი სატელეფონო ნომრის მითითების შემთხვევაში, იმ პირმა ვინც მიიღო შეტყობინება როგორ უნდა გააუქმოს ხსენებული სერვისი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია:

- პროექტის მე-3 მუხლის მე-20 და 21-ე პუნქტებით განსაზღვრული SMS სერვისის მექანიზმის შეცვლა/დახვეწა ან შეტყობინების ტექსტის ჩამოყალიბება პაციენტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით;
- პროექტში უნდა გაიწეროს არასწორი სატელეფონო ნომრის მითითების ან ნომრის მფლობელის შეცვლის შემთხვევაში, სერვისის გაუქმების წესი.

7. პროექტის მე-5 მუხლის მე-2 და მე-6 მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილია ის პირები, რომელთაც აქვთ უფლება დაამუშაონ ელექტრონულ სისტემაში ასახული პერსონალური მონაცემები, კერძოდ: სამინისტრო, ექიმი, სააგენტო და ფარმაცევტული დაწესებულება. პროექტი სისტემის მომხმარებლებთან ერთად, სხვა პირებსაც (სამინისტრო, სააგენტო) აძლევს მასში ასახული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას. გარდა იმისა, რომ პროექტის აღნიშნულ მუხლში არ არის დაზუსტებული თუ რომელი სამინისტრო და სააგენტო იგულისხმება, ამასთანავე, მითითებულია მონაცემთა ზოგადად დამუშავების შესაძლებლობა, კონკრეტული მიზნის და მონაცემთა მოცულობის განსაზღვრის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია:

- პროექტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში დაკონკრეტდეს მონაცემთა დამუშავებელი შესაბამისი სამინისტრო და სააგენტო;
- შეფასდეს სამინისტროსა და სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავება რამდენად თავსებადია განსახილველი პროექტის მიზნებთან;
- პროექტის მე-5 მუხლში თითოეული დამუშავებლისთვის რომელი მონაცემების, რა მიზნით და როგორი ფორმით დამუშავებაა დასაშვები.

8. პროექტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული სისტემის მფლობელი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. ამავე პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, დაინტერესებულ პირებს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონული სისტემის მფლობელის თანხმობით. სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გაცემა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის მხოლოდ სისტემის მფლობელის თანხმობის საფუძველზე ეწინააღმდეგება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია:

- პროექტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით: დაინტერესებულ პირებს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია (გარდა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციისა) მიეწოდებათ ელექტრონული სისტემის მფლობელის თანხმობით. პერსონალურ მონაცემთა შემცველი ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის გადაცემის საკითხი გადაწყდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

9. პროექტში არ არის განსაზღვრული ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები. იმის გათვალისწინებით, რომ ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემა შეიცავს, დიდი რაოდენობის პირთა პერსონალურ მონაცემებს და სისტემაზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირთა წრე ფართოა, უნდა მოხდეს ინფორმაციის დაცვა მთელი რიგი საფრთხეებისაგან, რაც შესაბამისი კონტროლის მექანიზმების, პროცედურების,

ორგანიზაციული სტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფით მიიღწევა. ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემამ მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს შესაძლო რისკები, აუცილებელია ყველა მოქმედების აღრიცხვა (ე.წ. ლოგირება) და მონაცემებზე წვდომის შემთხვევების მონიტორინგის მექანიზმების არსებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ პროექტში უნდა გაიწეროს ელექტრონული სისტემის უსაფრთხოების მექანიზმები, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და სისტემაზე არასანქცირებული წვდომის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმები.